N გ-20-03/3591
09/11/2020

3591-გ-20-03-2-202011091137

შპს ,,ჯი-დი-ეს თი-ვის“

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლისა და 108-ე მუხლის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2020 წლის 12 ნოემბერს, 15:00 საათზე გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში ,,კომისია“) მოსამზადებელი სხდომა, სადაც განიხილება შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის, შპს ,,ჯი-დი-ეს თი-ვის“ და შპს ,,ტელეიმედის“ წინააღმდეგ ფიზიკურ პირ გიორგი ყიფიანის, დეკანოზ არჩილ მინდიაშვილის და მოქალაქეთა ჯგუფის საჩივრების განსახილველად მიღების საკითხის განხილვა (საფუძველი: მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის გვანცა ჩხეიძის მიმართვა (N20-10-2225; 04.11.2020); დეკანოზ არჩილ მინდიაშვილის და მოქალაქეთა ჯგუფის საჩივარი (Nშ-20-9/5262; 08.10.2020)).

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, შესაბამის ელექტრონულ პორტალზე (https://eforms.gncc.ge) უმოკლეს ვადაში განაახლოთ ან/და კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@gncc.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში. ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გატყობინებთ, რომ დაინტერესებული მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განიხილოს საქმე და მიიღოს გადაწყვეტილება.

დანართი:

1. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის გვანცა ჩხეიძის მიმართვა (N20-10-2225; 04.11.2020);
2. გ. ყიფიანის საჩივარი (Nშ-20-9/5256; 07.10.2020);
3. დეკანოზ არჩილ მინდიაშვილის და მოქალაქეთა ჯგუფის საჩივარი (Nშ-20-9/5262; 08.10.2020);
4. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის გვანცა ჩხეიძის მიმართვა (N 20-10-2075; 08.10.2020);
5. კომისიის აპარატის აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (N20-10-2209; 02.11.2020);
6. კომისიის აპარატის აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (N20-10-2206; 02.11.2020);
7. DVD (1 ცალი -1 ეგზ.).

ოლია ვოტ

ადმინისტრაციის უფროსი
ადმინისტრაცია